23/07/2018 ქ. თბილისი

# ბრძანება №417/19

## საქართველოს უნივერსიტეტში საბაკალავრო სწავლების პირველკურსელთა 2019-2020 სასწავლო წელზე ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის დადგენის შესახებ

უნივერსიტეტის მართვის დებულებით პრეზიდეტებისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პრეზიდენტ მანანა სანაძის მიერ გაცემული მინდობილობის N 170412575 ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების პირველი და მე-6 მუხლების საფუძველზე;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს **2 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით.**
2. ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. 77, მეოთხე სასწავლო კორპუსი, მეორე სართული ოთახი #201.
3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათის ასლი;
- სკოლის ატესტატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟების შემთხვევაში);
- ფოტოსურათი (3X4);
- სწავლის საფასურის მეათედი ნაწილის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. **სარეგისტრაციო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ მატარებელზე.(CD-ზე ჩაწერილი)**
5. დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების კანონით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ს. გორგაძე).
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**პრეზიდენტი** **გიული ალასანია**

**რექტორი** **კონსტანტინე თოფურია**